პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება

განხილულია: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი №1 5.07.2011 წ.	დამტკიცებულია: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ დირექტორის ბრძანებით №4 6.07.2011წ

დირექტორი ვ. კიკნაძე

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამის) განხორციელებასთან დაკავშირებით

რედაქტირებულია:

ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №3 17.08.2015 წ.

დამტკიცებულია:

დირექტორის ბრძანებით № 34 17 .08.2015 წ.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას“
პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეა“ არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, (შემდგომში დაწესებულება) რომელიც ახორციელებს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით (შემდგომში მოდულური პროგრამებით) სწავლებას.
2. დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, "პროფესიული განათლების შესახებ", ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონქვემდებარე აქტებით, ასევე შპს საზოგადოებრივი

კოლეჯი ,,პანაცეას“ წესდებითა და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით, სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,პანაცეას“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება არეგულირებს სასწავლო და სამუშაო პროცესს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო დაწესებულების მისია, მიზანი, ამოცანები

1. **მისია:**

საუკუნოვანი მემკვიდრეობის საგანმანათლებლო დაწესებულების, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი, პანაცეას, მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი დასაქმება; (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

2. **ღირებულებები:** ტრადიციების ერთგულება, პროფესიონალიზმი, გუნდურობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა; (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

3. **კოლეჯის ძირითადი მიზანია:** ახალგაზრდებს გამოუმუშავოს თვითმყოფადობა, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნება, შესაბამისი დარგის/პროფესიის თანამედროვე მიღწევების გააზრებულად გაცნობისა და გამოყენების უნარი, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.

3. **კოლეჯის ძირითადი ამოცანებია:**

3.1. შიდა და გარე შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

3.2. ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი, დინამიური თვითგანვითარებისთვის;

3.3. აქტიური მონაწილეობის მიღება ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებაში;

3.4. საქართველოსა და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

3.5. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;

3.6. განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობიის უზრუნელყოფა, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;

3.7. ზრუნვა პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

3.8. ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების უზრუნველსაყოფად;

3.9. კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა;

3.10. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური სრულყოფა სტანდარტების შესაბამისად;

3.11. სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს:

1. მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობას;
2. პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას განურჩევლად სქესის, წარმოშობის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში მოდულურ პროგრამაზე) სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რაც ეყრდნობა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს, შესაბამის პროფესიულ სტანდარტს, ასევე დაწესებულების მიერ შემუშავებულ ნორმატიულ აქტებს.

3. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2. პირი, რომელსაც აქვს: ა) სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური/დონეს სწავლის შედეგები; ბ) სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

4. (ამოღებულია, დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

5. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომელიც ადგენს წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, დოკუმენტების მიღების ვადას, რაც გამოქვეყნებული უნდა იქნას საჯაროდ დაწესებულების ვებგვერდზე. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.).

5,1· „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებ(ებ)ის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

წინამდებარე დოკუმენტის მე-4 მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულება არ განახორციელებს/ უფლებამოსილი არ არის მიიღოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრმაზე და იმავდროულად უფლებამოსილია განახორციელოს/უზრუნველყოს სტუდენტთა მობილობა. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

6. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.(დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირმა უნდა წარმოადგინოს:

7.1. პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

7.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (დედანთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება განმცხადებელს);

7.3. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესაბამისად - საბაზო განათლების ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

7.4. ორი ფოტო სურათი 3 × 4

7.5. (ამოღებულია, დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019)

7.6. პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი.

7.7. არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (დედანთან ერთად, რომელიც უბრუნდება პირს) და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტის ასლს (დედანთან ერთად,რომელიც უბრუნდება პირს).

8. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. ამ დისციპლინების ჩამონათვალი განისაზღვრება საგამანათლებლო პროგრამის
შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)
9. უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.
10. დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ბრძანებას, რის საფუძველზეც ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა და მიღწევის შეფასება.

1. საგანმანათლებლო პროცესი მოიცავს:
   ა) თეორიულ სწავლებას;
   ბ) პრაქტიკულ სწავლებას.
2. დირექტორის მიერ დამტკიცებული, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს.
3. დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.
4. საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგებს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:
   ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) დასკვნის უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

6. **პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის**

6.1. (ამოღებულია, დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

6.2. პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასება ხორციელდება პერიოდულად, გამოკითხვით და შესრულების პროცესზე დაკვირვებით. შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ან ზეპირი ფორმით. ხოლო პრაქტიკული უნარების შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებით.(დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

6.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, გაანგარიშება ხდება კრედიტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №121/ნ -ის შესაბამისად.

6.4. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ

სტუდენტთა მიღწევათა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) ან/და მოდულები.

6.5. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას(დატვირთვას).

6.6. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის.

6.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

6.8. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

6.9. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

6.9.1. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

6.9.2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო კრედიტის მისაღებად სტუდენტის სასწავლო საქმიანობა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

6.10.**სასწავლო დისციპლინისათვის გამოყოფილი კრედიტების მიღების წესი.**

კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

6.11. საკონტაქტო საათებზე სავალდებულო დასწრება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე და პრაქტიკებზე დასწრება სავალდებულოა. პრაქტიკა მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო საათებს;

6.12.**საკვალიფიკაციო კომისია** იხილავს სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებულ ექნათ შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

6.13. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს სტუდენტის პირად საქმეს, მის მიერ მიღებულ შეფასებებს, უფლებამოსილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელისგან, ასევე პროგრამის განმხორციელებელი პირისგან, პროფესიული მასწავლებლისგან მოითხოვოს დამატებითი დახასიათება, რეკომენდაცია ან დანიშნოს გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან.

6.14.საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, კომისია კვალიფიკაციის შესახებ საკუთარ გადაწყვეტილებაში დამატებით მიუთითებს, თუ რომელ სტუდენტზე უნდა გაიცეს დიპლომი, დადგენილი წესის შესაბამისად.

6.15. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 –60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის

7.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან/და მოდულით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2.1. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

2.2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2.3.განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

2.4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

7.2. **პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

1.პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საზოგადოებრივი კოლეჯ „პანაცეას" პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა, სავალდებულო ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულებიდან პროფესიული კვალიფიკაციის დონის შესაბამისი რაოდენობის კრედიტები.

2.კურსდამთავრებულები, კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მიიღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს.

3. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს განიხილავს დაწესებულების საკვალიფიკაციო კომისია. საკვალიფიკაციო კომიისიის გადაწყვეტილება ფორმდება/მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის უფლება–ვალდებულებები

1. პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე; (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხვისას.
3. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს:

   ა)მიიღოს ხარისხიანი განათლება;

   ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლოთეკით, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

   გ) მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;

   დ) გამოთქვას საკუთარი აზრი;

   ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;

   ვ) დირექტორთან წერილობით გაასაჩივროს ადმინისტრაციული, პროგრამის განმხორციელებელი პირების/ პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის არამართლზომიერი მოქმედება;

   ზ) უფლებამოსილია დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისგან.

თ) კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოს მობილობის უფლებით.

4. სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამის ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაკისრებული მოთხოვნები;

ბ) შესრულოს შინაგანაწესითა და დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით მისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ)დაიცვას და შეასრულოს მასთან, როგორც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

დ)გადაიხადოს სწავლის საფასური დადგენილ ვადებში და ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით;

ე)დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ვ)გაუფრთხილდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებასა და პრესტიჟს; ვ)ეკრძალება დაწესებულების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროების შემცველი, ასევე სხვა აკრძალული ნივთების შეტანა და გამოყენება, თამბაქოს მოწევა.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 3 წლის ვადით. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019)
3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლებელია შეუჩერდეს შემდეგ შემთხვევებში:

3.1.ხანგძლივი ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა; ახალშობილის მოვლისას, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, სხვა ობიექტური მიზეზების არსებობისას. (დირექტორის ბრძანება №55 16.08.2019)

3.2. ფინანსური დავალიანება;

3.3. სასწავლო პროცესის საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტის გაცდენა;

3.4. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3.5. პირადი განცხადებით;

3.6. ფორს–მაჟორული გარემოებები;

3.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები .

4. (ამოღებულია, დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.).
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელ სტუდენტს.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ გამოუცხადებლობა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – ბრძანება და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში;
8. დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად.
9. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.
10. საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტისათვის, შეჩერებული სტატუსის აღდგენა დასაშვებია დაწესებულებაში მიღებული წესითა და სამართლებრივი აქტებით;
11. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმავე პროფესიული (ხოლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის, იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (ან მსგავსი) მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
12. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.
13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
14. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დაიშვება სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.
15. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება მობილობის დროს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება;

2.2. სტუდენტის პირადი განცხადება;

2.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა და სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა ან არ გამოცხდება;

2.4. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

2.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

2.6. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ოცდათი კალენდარული დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

2.7. წინამდებარე დებულების, საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას“ შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ასევე კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების უხეში, ასევე სისტემატური დარღვევა.

2.8. სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება;

2.9. სტუდენტების, ადმინისტრაციული და დამხმარე, პროგრამის განმხორციელებელი პირების, მასწავლებელთა პერსონალის მიმართ ძალადობა და შეურაცხყოფა;

2.10. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ქმედებით;

2.11. ფინანსური დავალიანება - 6 თვის განმავლობაში სწავლის ღირებულების გადაუხდელობა პროფესიული სტუდენტის მიერ;

2.12. მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლა;

2.13. პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

2.14. კოლეჯი უფლებამოსილია შეწყვიტოს იმ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არგამოცხადებულა სასწავლო პროცესზე ოცდაათი კალენდარული დღე, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში;

2.15. ავადმყოფობა, რომელიც შეუძლებელს ხდის პირის მიერ პროფესიულ პროგრამაზე სწავლას;

2.16. გარდაცვალება;

2.17. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისის შესახებ გამოიცემა დირექტორის

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – ბრძანება და მონაცემები შეინატება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. მობილობა

1. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას სტუდენტის სტატუსი.

   პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული კრედიტების, განათლების, კვალიფიკაციის აღიარება. (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

2. სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. **გარე მობილობა** - სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს შესაბამისი დოკუმენტაციის (ასლების) მოთხოვნით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის

   აკადემიურ და ფინანსურ მდგომარეობას და დავალიანების არქონის შემთხვევაში სტუდენტი ღებულობს მობილობისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.

4. **მობილობის** წესით კოლეჯში ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია შეიტანოს კოლეჯის დირექტორის სახელზე განცხადება, აგრეთვე წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი (ამონაწერი ბრძანებებიდან) და განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) შესახებ დოკუმენტაცია.

5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა და წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის მე-7 ქვეპუნქტის მიხედვით.

6. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

7. (ამოღებულია,დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

8. (ამოღებულია,დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019

9. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ)კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10. მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

11. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

12. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში გადავიდეს, შიდა მობილობის გამოყენებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე მობილობის გამოყენებით.

13. შიდა მობილობის მოთხოვნა დასაშვებია მოცემულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განცხადების საფუძველზე ;

14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და კოლეჯი, საკითხის შესწავლის შემდეგ, ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს, სწავლის შედეგებს;

15. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება კრედიტები;

16. მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ;

17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ხელშეკრულებას ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანთლებლო დაწესებულებებთან.

18. სტუდენტის მობილობა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით, ბრძანებით.

მუხლი 10. მიღებული განათლების აღიარება

1. კოლეჯი ადგენს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების, დადასტურების შესახებ.
2. აღიარების მსურველ პირთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნას კომისია.
3. აღიარების დოკუმენტი (დასკვნა-რეკომენდაცია) საბოლოოდ ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით-ბრძანებით.
4. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისობა.
7. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის, ტესტირების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.
8. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება, პროგრამის კრედიტების დადასტურება, გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და სწავლების შედეგების შედარებას კოლეჯის იმ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.
9. კოლეჯის მიერ, სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისთვის, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დადასტურებისთვის, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო კურსი/მოდული, სილაბუსი/კალენდარული გეგმა) ან დამატებით სხვა ინფორმაცია რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

10. სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს იდენტურობა სტუდენტის მიერ განვლილ დისციპლინასა და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას შორის.
11. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის.
12. სასწვლო პროცესის მართვის სამსახურის ან აღიარების კომისიის მიერ მიღებული განხილვის შედეგები ეცნობება კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
13. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის პროგრამასთან და ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 11. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

3. თუ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
4. პროგრამებზე კოლეჯისათვის ფინანსურად და სწავლის ორგანიზებისათვის სწავლის მსურველთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, მათთან ერთად განიხილება მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, განისაზღვრება განსხვავებულ სასწავლო კურსი სწავლებისა და ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენის ვადები, რაც ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 12. არაფორმალური პროფესიული განათლება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და პროცედურა საზოგადოებრივ კოლეჯ ,,პანაცეაში“ რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვალის ბრძანებით №8 დამტკიცებული წესით და წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საფუძველია კონკრეტული პროფესიული სტანდარტი. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება (პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისთვის) პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების საფუძველზე შექნმილი კომისია.
6. დაინტერესებული პირის მომართვის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს განცხადების განხილვის პროცედურას, ადგენს განცხადების წარდგენის ვადას; სათანადო დოკუმენტაციით დადასტურებული, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპენტეციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციების ჩათვლის წესს.
7. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს არაფორმალური განათლების აღიარების მსურველ პირს: აწვდის ინფორმაციას წარსადგენ დოკუმენტაციისა და აღიარების პროცედურასთან დაკავშირებით.

8. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია პირის მიერ სათანადო განცხადების საფუძველზე მოახდინოს მის მიერ არაფორმალურ გარემოში შეძენილი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება.

9. არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

    1. განმცხადებლის სახელსა და გვარს;
    2. დაბადების თარიღს;
    3. პირადობის მოწმობის მიხედვით, პირად ნომერს;
    4. საკონტაქტო ინფორმაციას;
    5. არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების დეტალურ აღწერას;
    6. მოთხოვნას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ
    7. განმცხადებლის პირად ხელმოწერასა და თარიღს;
    8. მითითებას თანდართული დოკუმენტაციის შესახებ.

10. იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ განცხადებას მის ნაცვლად ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი. განცხადებაში ასევე დამატებით მიეთითება ინფორმაცია, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ. კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს პირადობის ასლსა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

11. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებას უნდა წარუდგინოს:

    ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

    ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

    გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

12. კოლეჯს უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

13. არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისია იქმნება საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

14. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ბ)საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი (დაწესებულების საბჭოს წევრი);

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები;

დ) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

ე) ამ მუხლის 14 პუნქტის გ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები არ უნდა წარმოადგენდნენ დაწესებულების თანამშრომლებს.

15. არაფორმალური პროფესიული განათლების ამღიარებელი კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, კონკრეტული შემთხვევის, საკითხის განხილვავა – გადაწყვეტის ვადით.

16. არაფორმალური განათლების ამღიარებელ კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- ✓ განიხილავს განცხადებას და წარდგენილ დოკუმენტაციას, კერძოდ:
- ✓ განცხადების განხილვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება; არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა; გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

17. კომისია ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

18. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

19. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას, შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამის დასაბუთებას;

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

20. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

21. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

22. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 13. მართვა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მართავს:
   - დირექტორი;
   - დირექტორის მოადგილე -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
   - ადმინისტრაციული საბჭო;
   - საწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. დირექტორის უფლებამოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას“ წესდებით, წინამდებარე დებულებით. დირექტორი ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვას.
3. დირექტორი წარმართავს და ზედამხედველობს პროფესიული საგამნანათლებლო საქმიანობის პროცესს.
4. დაწესებულების დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებას, შინაგანაწესს, საგანმანათლებლო პროგრამებს, შეაქვს ცვლილებები/დამატებები, ადმინისტრაციულ საბჭოს მიერ დოკუმენტის განხილვის შემდეგ, ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების საქმიანობის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

4.[1].კანონმდებლობის მოთხოვნათა/პროცედურების დაცვით, საგანმანათლებლო პროგრამის დამატება/პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, ადმინისტრაციულ საბჭოს მიერ პროგრამის განხილვის შემდეგ.(დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)

5. დირექტორი ამტკიცებს საშტატო განრიგს, ხელმძღვანელობს და ზედამხედველობს

დაწესებულების ფინანსურ, სამეურნეო საქმიანობას, მატერიალური რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და მართვას.

6. დირექტორი ამტკიცებს პროგრამის განმხორციელებელ პირთა, პროფესიულ მასწავლებლებთა დატვირთვის მოცულობას, კვალიფიკაციის შესაბამისად.
7. დირექტორი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას კანონმდებლობის შესაბამისად.
8. დაწესებულების დირექტორი, საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.
9. დირექტორი ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომელთა შორის, აკონტროლებს მათ შესრულებას.
10. დირექტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულება მესამე პირებთან ურთიერთობაში, დაუშვებელია მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა.
11. დირექტორი ზედამხედველობს დისციპლინის დაცვას და დისციპლინურ გადაცდომაზე იღებს შესაბამის ზომებს.
12. დირექტორი ანგარიშვალდებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დამფუძნებლის წინაშე.
13. დირექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება–მოვალეობებს.
14. **დირექტორის მოადგილე** თავის საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.
15. დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დირექტორთან შეთანხმებით, წარმართავს და მონიტორინგს უწევს პროფესიული სწავლების მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს.
16. დირექტორის მოადგილე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხს, ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
17. დირექტორის მოადგილე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხლმძღვანელი, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, ახდენს პროფესიული სტანდარის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სისტემატურ შემოწმებასა და ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს ღონისძიებებს.

18. დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახდენს შეფასების პროცედურების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და მათ გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს რეკომენდაციების.

18. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ზრუნავს რათა სისტემატიურად განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და შედეგებზე. ახდენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად, სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე გამოცდების შედეგების განხილვა-გაანალიზებას, სახავს ღონისძიებებს დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის; უფლებამოსილია ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა/ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვა.

19. დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, ადმინისტრაციულ საბჭოსთან ერთად, ადგენს პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის მოცულობას, შეისწავლის პროფესიულ სტუდენტთა მიღწევებს და შეიმუშავებს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის ღონისძიებებს. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით წარუდგენს ინფორმაციას, რეკომენდაციებს ადმინისტრაციულ საბჭოსა და საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს.

20. დირექტორის მოადგილე სახავს ღონისძიებებს, არსებული რესურსების გათვალისწინებით, რათა მოხდეს შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციისათვის და ასევე სხვა სასწავლო დაწესებულებებთნ.

21. დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს საწავლო გეგმების, სილაბუსებისა და მოდულების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ ნორმატიული დოკუმენტების პროექტების შემუშავებაში.

22. დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვენელი ზრუნავს საგანმანათლებლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე.

23. დირექტორის მოადგილე ზრუნავს საინფორმაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე;

24. დირექტორის მოადგილე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს კოლეჯის სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობის ხარისხს მართვას ყველა მიმართულებით;

25. **ადმინისტრაციული საბჭო** განიხილავს საგანმანათლებლო დაწესებულების მიმდინარე საკითხებს

ადმინისტრირების, სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის, ფინანსურ–სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის შესახებ. დირექტორის წარდგინებით იხილავს შინაგანაწესს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ დებულებებს, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის, აღიარების, მობილობის წესებს, სხვა ნორმატიულ აქტებს. მონაწილეობას იღებს კოლეჯის საქმიანობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, იხილავს პროგრამებს, სილაბუსებს, მოდულებს და სხვა სასწავლო დოკუმენტაციას, ისმენს და განიხილავს კოლეჯის სამსახურების მოხსენებებსა და შუამდგომლობებს.

26. ადმინისტრაციული საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით. სხდომის მოწვევა ხდება სამჯერ სასწავლო წლის მანძილზე. (საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაინიშნოს რიგგარეშე სხდომა).

26[1]. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით; (დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.).

27. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები განიხილება დაწესებულების ადმინისტრაციულ საბჭოზე და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

28. **საწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი** წარმართავს სასწავლო საქმიანობას, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეაქვს ცვლილებები პროგრამის განმახორციელებელ პირთა, პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის შემადგენლობაში, მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების, გეგმების შემუშავებაში და წარმართავს სასწავლო პროცეს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, გეგმების შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლების მიმდინარეობას, უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, დისციპლინის დაცვას როგორც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის ასევე სტუდენტთა მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს (პროექტებს), წარადგენს წინადადებებსა და შენიშვნებს, შუამდგომლობებს, ფლობს სრულ ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა შესახებ.

29. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია დირექტორის, ადმინისტრაციული საბჭოსა და დირექტორის მოადგილეს/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე.

30. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა პროგრამის

განმახორციელებელი პირები, პროფესიული მასწავლებლები.

31. კოლეჯის პერსონალის მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
32. საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში. პროფესიული განათლების მასწავლებელი საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა ან/და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებასა და კარიერული წინსვლას. (დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.)
33. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ით სწავლება ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის განმხორციელებელი პირების, პროფესიული მასწავლებლების მიერ.
34. კოლეჯის პერსონალს უფლება აქვს მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნა.
35. კოლეჯის პერსონალი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას და შესრულოს კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა დაწესებულების სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
36. დაწესებულების ხელმძღვანელობის ურთიერთობა პერსონალთან რეგულირდება მოქმედი კანონმდელობით, დაწესებულების შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, კოლეჯის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებითა და შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით.
37. წინამდებარე დოკუმენტი მოქმედებს დაწესებულების სამართლებრივ აქტებთან ერთად, რომელიც უშუალოდ მიზნობრივად/შინაარსობრივად დაკავშირებულია წესთან (დაწესებულების შინაგანაწესი, დებულებები, ბრძანებები).

მუხლი 14. დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხდება ადმინისტრაციული საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რაც დამტკიცებული უნდა იქნეს დირექტორის მიერ.

შესულია ცვლილება:

1. დირექტორის ბრძანება №45 14.09.2017 წ.

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრული დასახელებით შეტანასთან/ცვლილებასთან დაკავშირებით).

2. დირექტორის ბრძანება №35 31.05.2019 წ.
3. დირექტორის ბრძანება №46 18.07.2019 წ.